

# The JOSHA Demetrios Project: - ქართული


| | |
|---|---|
| Authors: | Giorgi Gotsiridz |
| Submitted: | 16. November 2017 |
| Published: | 17. November 2017 |
| Volume: | 4 |
| Issue: | 6 |
| Affiliation: | International Academy of Sciences, Humanities, and Arts |
| Languages: | Georgian |
| Keywords: | Textbook, Monograph, Books as Open Online Content (BOOC), Demetrios of Phaleron, Alexandrina Library, Language: Hungarian. სახელმძღვანელო, მონოგრაფია, წიგნები, როგორც ღია კრებული, ფალერონის დემეტრიოსი, ალექსანდრინა ბიბლიოთეკა, ენა: ქართული |
| DOI: | 10.17160/josha.4.6.359 |



JOSHA

josha.org

**Journal of Science, Humanities and Arts**

JOSHA is a service that helps scholars, researchers, and students discover, use, and build upon a wide range of content

# მეცნიერების, ჰუმანიზმისა და ხელოვნების საერთაშორისო აკადემია

(IASHA, International Academy of Science, Humanities, and Arts)
მეცნიერებისა და ხელოვნების საერთაშორისო აკადემია, ფრაიბურგი, გერმანია

## მეცნიერების, ჰუმანიზმისა და ხელოვნების ჟურნალის – (JOSHA) პროექტი დემეტრიოსი

წიგნები და ნაშრომები ნებისმიერ ენაზე

წიგნები როგორც ღია ონლაინ-კონტენტი (BOOC)

2017 წლის ივლისის ნომრის გამოცემით „მეცნიერების, ჰუმანიზმისა და ხელოვნების ჟურნალი“ იწყებს პროექტს **დემეტრიოსი.** ჩვენ ავირჩიეთ ფალერონელი დემეტრიოსი, თეოფრასტოსისა და დიდი ალბათობით არისტოტელეს მოსწავლე, როგორც ჩვენი პროექტის მფარველის სახელი. დემეტრიოსს დიდი ღვაწლი მიუძღვის ალექსანდრიის ანტიკური ბიბლიოთეკის შექმნის საქმეში, ბიბლიოთეკისა, რომელიც სავარაუდოდ ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი იყო ანტიკურ სამყაროში, რამეთუ მეცნიერების, ჰუმანიზმისა და ხელოვნების ყველა ასპექტს მოიცავდა მრავალსხვადასხვა ენაზე. ჩვენი მიზანია, რომ JOSHA გაიხსნას ჯშუა როგორც საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, ღია ბიბლიოთეკა ყველა ენისა და ქვეყნებისათვის.

თავდაპირველად JOSHA ფოკუსირებული იქნება იმაზე, რომ ზუსტი და ჰუმანიტარული მეცნიერებისა და ხელოვნების ნებისმიერი სფეროს სახელმძღვანელოები გამოიცეს და ხელმისაწვდომი იქნეს სტუდენტებისა და მკითხველებისათვის მთელ მსოფლიოში. JOSHA გამოაქვეყნებს სახელმძღვანელოებს ნებისმიერ ენაზე, შესაბამისი ენის მცოდნე ექსპერტების მიერ მათი შესაბამისი საექსპერტო შეფასების შემდეგ. მეცნიერებისა და ხელოვნების არაკომერციული საერთაშორისო აკადემიის (IASHA) დირექტორთა საბჭო და მეცნიერების,

ჰუმანიზმისა და ხელოვნების ჟურნალის (JOSHA) რედაქტორები მიიჩნევენ, რომ უკიდურესად აუცილებელია ამ მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით სტუდენტებისა და მეცნიერთათვის დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში, სადაც სახელმძღვანელოები უბრალოდ მიუწვდომელია ან ძვირია სტუდენტთა უმრავლესობისათვის. ჩვენ მოვუწოდებთ ავტორებს და მკითხველებს, რომ გამოაგზავნონ სახელმძღვანელოები მეცნიერებისა და ხელოვნების ჟურნალში (JOSHA) უფასოდ გამოსაქვეყნებლად და ასევე გვაცნობოთ კონკრეტული საჭიროებების შესახებ.

ჩვენ ეს პროექტი დავიწყეთ პროფესორ ბუჯარის, კოსოვოდან, არქიტექტურული სახელმძღვანელოების გამოცემით ალბანურ ენაზე.

მეცნიერებისა და ხელოვნების არაკომერციული საერთაშორისო აკადემია (IASHA) ფრაიბურგში, მეცნიერების, ჰუმანიზმისა და ხელოვნების ჟურნალის (JOSHA) გამომცემელი, და მისი ყველა წევრი განსაკუთრებული მონდომებით მხარს უჭერენ ამ პროექტს. ჩვენ თქვენც მოგიწოდებთ, რომ ასევე მხარი დაუჭიროთ ამ მნიშვნელოვან წამოწყებას და შემოუერთდეთ ფილანტროპიულ IASHA e.V. ასოციაციას ( https://iasha.org ), ან გააკეთოთ შემოწირულობა IASHA e.V. -ისათვის.

„ცოდნა იმისა, რომ თუნდაც ერთი სიცოცხლე უფრო ადვილად სუნთქავს იმიტომ, რომ ... ეს არის წარმატება." (რალფ ვალდო ემერსონი, 1803 – 1882).



*ოვონ კორვენის გრაფიკა - ტოლცმანი, დონ ჰაინრიხი, ალფრედ ჰესელი და რუბენ პიისი. კაცობრიობის მეხსიერება. ნიუ კასტლი, დელავერი: ოუკ ნოლის გამომცემლობა, 2001, საზოგადოებრივი საკუთრება, https:// commons.wikimedia.org/A*

## მეცნიერების, ჰუმანიზმისა და ხელოვნების ჟურნალის (JOSHA) შესახებ

ღია ონლაინ გამოცემა „მეცნიერების, ჰუმანიზმისა და ხელოვნების ჟურნალი (JOSHA)" გახლავთ მეცნიერების, ჰუმანიტარული და ხელოვნების დარგებში მრავალფეროვანი მნიშვნელოვანი აღმოჩენებისა და კრეატიულობის ხელმისაწვდომობისათვის შექმნილი ნოვატორული ინტერნეტ პლატფორმა. JOSHA არის მეცნიერებისა და ხელოვნების არაკომერციული საერთაშორისო აკადემიის (IASHA, E.V., ფრაიბურგი, გერმანია) ჟურნალი.

მეცნიერების, ჰუმანიზმისა და ხელოვნების ჟურნალის (JOSHA) წარმომადგენლებს გვწამს, რომ „ცოდნა, რომელიც არ არის გაზიარებული, გადაგდებული ცოდნაა." ამიტომაც დავაფუძნეთ

ჩვენ ღია წვდომის, უფასო ჟურნალი, რომელიც აქვეყნებს სტატიებს ისეთი განსხვავებული სფეროების შესახებ, როგორიც გახლავთ მეცნიერება, ჰუმანიტარული მეცნიერება და ხელოვნება, და მოუწოდებს სტუდენტებს, მკვლევარებსა და ხელოვანებს გამოაქვეყნონ თავიანთი ცოდნა.

2017 წლის აგვისტოსათვის ჩვენ გამოქვეყნებული გვაქვს 4 ტომი, 16 გამოცემა და 120-ზე მეტი სტატია. ჩვენი დისტრიბუციის ამჟამინდელი მაჩვენებლები გახლავთ 190,000-ზე მეტი ნახვა და 150,000-ზე მეტი გადმოწერა (დაუნლოდი) ერთი თვის განმავლობაში.

ჩვენი ავტორთა და მკითხველთა ფარგლები მოიცავს სამაგისტრო და სადოქტორო სტუდენტებიდან დაწყებული ხელოვანებისა და ნობელის ლაურეატებით დამთავრებული ყველას.

მეცნიერების, ჰუმანიზმისა და ხელოვნების ჟურნალს (JOSHA) შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ჩვენი ვებსაიტის www.josha-journal.org საშუალებით, და ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ სოციალური მედია ნეტვორკები Facebook და Linkedin.

JOSHUA ამჟამად ინდექსირებულია ROAD-ში (ღია წვდომის კვლევითი რესურსების კატალოგი), e-journal.org და Scilit.

JOSHA-ს საგამომცემლო პროგრამული უზრუნველყოფა შემუშავდა JOSHA GmbH-ის პროგრამული სისტემის მიერ და ლიცენზირებული იქნა მეცნიერებისა და ხელოვნების არაკომერციული საერთაშორისო აკადემიის IASHA-თვის.